ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 13 დეკემბერი, 1942 წ. № 294 (6610). ფასი 15 კაპ.

**მაშ დაე იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს ტამბოვისა და სარატოვის ოლქების კოლმეურნეთა მიერ დაწყებული მოძრაობა! მაშ დაე კოლმეურნეთა სახსრებით აგებული ჩვენი ტანკები და თვითმფრინავები სჭყლეტდნენ, ჰგლეჯდნენ და სპობდნენ გერმანელებს, დაე უჩვენონ წყეულ ფაშისტებს ჩვენი საკოლმეურნეო, ბუმბერაზული ძალა!**

„პრავდა“

## ბუმბერაზული საკოლმეურნეო ძალა

სულ რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა დიდმა ქვეყანამ სიამაყისა და მადლობის გრძნობით შეიტყო ტამბოველ კოლმეურნე კაცთა და ქალთა პატრიოტული თაოსნობის ამბავი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავზე ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად მათ ჩაატარეს სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „ტამბოველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის. კოლმეურნეებმა ორი კვირის განმავლობაში ნაღდ ფულად შეიტანეს 40 მილიონი მანეთი. ამხანაგი სტალინი მისალმა ტამბოვის ოლქის კოლმეურნე კაცებსა და ქალებს და წითელი არმიის სახელით მადლობა გამოუცხადა მათ.

დღეს კი საბჭოთა ხალხი ღრმა კმაყოფილებით გაიგებს საკოლმეურნეო სოფლის ახალ კეთილშობილურ პატრიოტულ საქმეს. სარატოვის ოლქის კოლმეურნე კაცებმა და ქალებმა, ამხანაგ სტალინის მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებულებმა, თავიანთი დანაზოგიდან შეაგროვეს 33.500.000 მანეთი სტალინგრადის ფრონტის საჩუქრად საბრძოლო თვითმფრინავების მშენებლობისათვის. სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

ამხანაგმა სტალინმა სარატოვის ოლქის კოლმეურნე კაცებსა და ქალებს უპასუხა საქ. კ. პ. (ბ) სარატოვის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. კომაროვის სახელზე გაგზავნილი დეპეშით:

**„გადაეცით სარატოველ კოლმეურნე ქალებსა და კაცებს ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა“.**

სარატოველ გლეხთა პატრიოტული წამოწყება მკაფიო გამოხატულებაა კოლმეურნეთა უსაზღვრო ერთგულებისა ჩვენი სამშობლოსადმი და ჩვენი გმირი წითელი არმიისადმი დახმარებისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ზურგის სიმტკიცეს, ქალაქისა და სოფლის ურღვევ მეგობრობას, მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!—აი ყველა საბჭოთა ადამიანის — მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის ფიქრები და გრძნობები. ყოველი საბჭოთა ადამიანი ცდილობს დაეხმაროს წითელ არმიას ყველაფრით, რითაც კი შეუძლია, გააკეთოს მისთვის ყველაფერი, რაც კი მას ძალუძს. ჩვენი ხალხის გულში ცოცხლობს სული კეთილშობილ კუზმა მინინისა, რომელმაც მტრის შემოსევის მძიმე დღეებში ნიჟნი-ნოვგოროდელებს მოუწოდა გაეღოთ უდიდესი მსხვერპლი სამშობლოს სახსნელად. ნიჟნი-ნოვგოროდმა შეაიარაღა ლაშქარი, რომელმაც იხსნა მოსკოვი.

ახლა ჩვენი სოფლის საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა გამოიხატება სამშობლოს წინაშე თავისი ვალის ღრმა და მრავალმხრივი შეგნებით. ომიანობის დროის სიძნელეთა მიუხედავად, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვა ისე ორგანიზებულად ჩაატარეს, როგორც არასოდეს არ ჩაუტარებიათ. მჭიდრო და მოკლე ვადებში სანიმუშოდ იქნა ჩატარებული პურეულის აღება. მოწინავე კოლმეურნეობანი დროულად და მთლიანად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, ვინაიდან მათ ესმით, რომ ყოველი ფუთი პური, ხორცი, ერბო-კარაქი განამტკიცებს წითელი არმიის ძალებს, ამაგრებს ჩვენს პოზიციებს, საშუალებას გვაძლევს უფრო წარმატებით ვამზადოთ ახალი გამანადგურებელი დარტყმები მტრის წინააღმდეგ.

საბჭოთა სოფლის წარმატებანი ნათლად გვიჩვენებენ ჩვენი საკოლმეურნეო წყობილების ძალასა და სიმტკიცეს.

საბჭოთა კოლმეურნენი, სამშობლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებულნი, მტრისადმი მძაფრი სიძულვილის გრძნობით გამსჭვალულნი, მთელი ძალღონით ისწრაფვიან დააჩქარონ ფაშისტური სიბილწისაგან ჩვენი წმიდა მიწა-წყლის განთავისუფლების ჟამი, მოაახლოონ ჰიტლერელი არამზადების საბოლოო განადგურების დღე. სწორედ ამაში მდგომარეობს ტამბოველ და სარატოველ კოლმეურნეთა თაოსნობის პოლიტიკური დედაარსი.

სწორედ ამიტომ არის, რომ ასე ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენს ქვეყანაში ტამბოველთა სასახელო თაოსნობას. სულ ერთი დღეა, რაც გამოვაქვეყნეთ დაწვრილებითი ცნობა წითელი არმიისათვის იმ ტანკების კოლონის გადაცემის შესახებ, რომლებიც აგებულია მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნე კაცთა და ქალთა სახსრებით. ამავე ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფლების მშრომელებმა უკვე 3 მილიონზე მეტი მანეთი შეაგროვეს ტანკების მშენებლობისათვის. კუნცევოს რაიონის კოლმეურნეებმა 2,5 მილიონამდე მანეთი გამოჰყვეს თავიანთი დანაზოგიდან. აკმოლინსკის ოლქის თავდაცვა-ავიაქიმელებმა 1.100.000 მანეთი შეიტანეს ამ საქმისათვის. ტანკების მშენებლობისათვის სახსრების შეგროვების შესახებ იტყობინებიან კალინინის, კუიბიშევის, გორკის, ნოვოსიბირსკის, რიაზანისა და სხვა ოლქებიდან, მხარეებიდან და რესპუბლიკებიდან.

უეჭველია, ასეთსავე ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენს ქვეყანაში სარატოველ კოლმეურნეთა ინიციატივაც წითელი არმიისათვის საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად სახსრების შეგროვების შესახებ. საბჭოთა ხალხს, საკოლმეურნეო სოფელს უყვართ სტალინური ავიაცია. ისინი მასში ხედავენ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის მძლავრი აღმაფრენის, ჩვენი მიწა-წყლის ძლევამოსილი აყვავების გამოხატულებას. საბჭოთა ხალხის თვით სულისკვეთებაში — დაუცხრომელ, თავისუფლებისმოყვარულ, ამაყ სულისკვეთებაში—მამა-პაპათაგან ჩაქსოვილია სტიქიის დამმორჩილებელთა, საჰაერო ოკეანის მბრძანებელთა თანხმიერი თვისებანი.

საბჭოთა ხალხს ტყუილად კი არ მიუცია მსოფლიოსათვის მთელი წყება ბრწყინვალე ავიატორებისა, რომელთა სახელებსაც პატივისცემით წარმოსთქვამენ მთელ დედამიწაზე. ჰაერის ამ გმირებს შორის ცოტანი როდი არიან გუშინდელი კოლმეურნენი, საბჭოთა სოფლიდან გამოსულნი. ჩვენი მიწის ნაყოფიერი მინდვრებიდან აფრინდნენ ჰაერში ხალხის ფრთოსანი შვილები, საბჭოთა კავშირის გმირები—პოდპოლკოვნიკი საფონოვი, პოდპოლკოვნიკი პოლბინი, უფროსი ლეიტენანტი ბაკლანი, ლეიტენანტი კოროლევი, გენერალ-მაიორი მოლოკოვი და მრავალი და მრავალი სხვანი.

ერთი იმ თვითმფრინავთაგანი, რომლებიც აგებულია სარატოვის ოლქის ვოროშილოვის რაიონის არტელ „სიგნალ რევოლუციის“ კოლმეურნეთა მიერ შეგროვილი სახსრებით, ჩაჰბარდა სტალინგრადის დამცველს,—საბჭოთა კავშირის გმირს მაიორ შიშკინს, გუშინდელ კოლმეურნეს. საბჭოთა სოფელი ახალ იარაღს აძლევს ხელში თავისსავე შვილებს!

ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კოლმეურნეებმა თავიანთი ინიციატივით სტიქიურად დაიწყეს სახსრების შეგროვება საბრძოლო თვითმფრინავთა ასაგებად. უზბეკეთში ფართოვდება მოძრაობა „საბჭოთა უზბეკეთის“ მანქანების მრავალფრთიანი გუნდის შესაქმნელად. მარტო ანდიჟანის ოლქის კოლმეურნეებმა ამ ფონდში მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს. არხანგელსკის ოლქის კოლმეურნეებმა უკვე შეაგროვეს 1.200.000 მანეთი „არხანგელსკის კომკავშირელის“ ესკადრილიის ასაგებად. სარატოველ კოლმეურნეთა კეთილშობილური თაოსნობა ამ მოძრაობაში შეიტანს ახალ მძლავრ ნაკადს, ახალ საფეხურზე აიყვანს მას და ამ მოძრაობას ნამდვილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადააქცევს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ ყოველი ახალი ტანკი, ყოველი ახალი თვითმფრინავი, ყოველი ახალი ზარბაზანი წითელი არმიისადმი კონკრეტულ და ქმედ დახმარებას წარმოადგენს, ეხმარება მას სულ უფრო და უფრო მძლავრი დარტყმები აგემოს მტერს. საბჭოთა ტანკების მუხლუხთა ღრიალში, ჩვენი თვითმფრინავების მოტორთა გუგუნში, ზარბაზნების გრიალში ისმის ხმა ჩვენი ხალხისა, რომელიც ერთი ფიქრით ცხოვრობს: დაიცვას თავისი სამშობლო ფაშისტ ოკუპანტთა ხელყოფისაგან, გაანადგუროს საზიზღარი ჰიტლერელები, განდევნოს ისინი ჩვენი მიწა-წყლიდან.

ზურგი და ფრონტი ჩვენს ქვეყანაში ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა, რომელიც დღედაღამ სჭედს მტერზე გამარჯვებას. ზურგი ჰკვებავს ფრონტს ახალი შევსებით, იარაღით, სურსათით, განწყობილებით, იდეებით. აღფრთოვანებითა და მადლიერებით ადევნებენ რა თვალყურს წითელი არმიის საბრძოლო წარმატებას, მუშები საწარმოებში, კოლმეურნეები სოფლად ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა იმუშაონ ომიანობის დროის შესაფერისად, მისცენ ფრონტს რაც შეიძლება მეტი, გააკეთონ ყოველივე, რაც კი საჭიროა გამარჯვებისთვის.

ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ წითელი არმიის დასახმარებლად, მაგრამ შეგვიძლია კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ! ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელი დიდი ლენინი მოითხოვდა უდიდეს, ყოვლისშემცველ დახმარებას ფრონტისადმი. იგი მოუწოდებდა ყველაფერი დაექვემდებარებინათ ომის ინტერესებისათვის, დაეძაბათ მთელი ძალები. სოფლად მუშაობის შესახებ გამართულ თათბირზე 1920 წელს წარმოთქმულ სიტყვაში ვლადიმერ ილიას-ძე ამბობდა: „სოფლად მომუშავეების, პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და მშვიდობიანი შრომის დარგში რაიმე საქმეში ჩაბმული ამხანაგების პირველი მოვალეობა ის არის, რომ ყოველ კრებაზე, მიტინგსა და საქმიან თათბირზე ყოველ ჯგუფში, ყოველ პარტიულ დაწესებულებაში, ყოველ კოლეგიაში უწინარეს ყოვლისა ახსოვდეთ და რადაც უნდა დაუჯდეთ განახორციელონ ლოზუნგი: „ყველაფერი ომისათვის“.

ტამბოველ და სარატოველ კოლმეურნეთა თაოსნობა გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო სოფელი მზად არის გააკეთოს ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის. ამხანაგ **სტალინის** მისალმებითა და წითელი არმიის მადლობით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა კავშირის კოლმეურნენი კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ახალ უხვ წვლილს მიიტანენ გამარჯვების სამსხვერპლოზე, წითელ არმიას მისცემენ ტანკთა ახალ მძლავრ კოლონებს, ფრთამალი თვითმფრინავების უთვალავ გუნდებს ჰიტლერელ დამპყრობთა გასანადგურებლად. წითელი არმია უდიდესი მადლიერებით მიიღებს საკოლმეურნეო სოფლის დახმარებას და უპასუხებს მას ახალ-ახალი გმირობით, ახალი სახელოვანი საბრძოლო საქმეებით, ახალი დარტყმებით მტრის წინააღმდეგ.

მაშ დაე იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს ტამბოვისა და სარატოვის ოლქების კოლმეურნეთა მიერ დაწყებული მოძრაობა! მაშ დაე კოლმეურნეთა სახსრებით აგებული ჩვენი ტანკები და თვითმფრინავები სჭყლეტდნენ, ჰგლეჯდნენ და სპობდნენ გერმანელებს, დაე უჩვენონ წყეულ ფაშისტებს ჩვენი საკოლმეურნეო, ბუმბერაზული ძალა!

**„პრავდის“ მოწინავე, 12/XII.**

### უკანასკნელ საათს

## ჩვენი ჯარების დავლა და მტრის ზარალი

### I. სტალინგრადთან

ჩვენი ჯარების შეტევის განმავლობაში სტალინგრადთან 19 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე მტერს წავართვით: 105 თვითმფრინავი, 1.510 ტანკი, 2.134 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.714 ნაღმსატყორცნი, 28 დაოთხებული საზენიტო დანადგარი, 4.175 ტყვიამფრქვევი, 811 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2.000-ზე მეტი ავტომატი, 4.196.000 ყუმბარა, 20.000.000-ზე მეტი ვაზნა, 7.306 ავტომანქანა, 1.385 მოტოციკლი, 62 რადიოსადგური, 522 კილომეტრი ტელეფონის კაბელი და სხვა სამხედრო ქონება.

11 დეკემბრის ბოლოს ტყვეთა რიცხვმა 6.400 კაცით იმატა. 19 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია მტრის 72.400 ჯარისკაცი და ოფიცერი.

19 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის 632 თვითმფრინავი, აქედან 353 სატრანსპორტო თვითმფრინავი, 548 ტანკი, 934 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.946 ტყვიამფრქვევი, 1.386 ავტომანქანა.

ამავე ხნის განმავლობაში სტალინგრადთან მტერმა მარტო მოკლულთა სახით 94.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა, აქედან ოთხი მეხუთედი გერმანელები არიან, დანარჩენი კი—რუმინელები.

### II. ცენტრალურ ფრონტზე

25 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში ცენტრალურ ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს: 194 ტანკი, 550 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.053 ტყვიამფრქვევი, 7.000-მდე შაშხანა, 300.000-მდე ყუმბარა, 7.126.000 ვაზნა, 920 ავტომანქანა, 58 რადიოსადგური, 43 სხვადასხვა საწყობი.

ამავე ხნის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 2.100 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ჯარების მიერ მოსპობილია მტრის 200-ზე მეტი თვითმფრინავი, 416 ტანკი, 541 ქვემეხი, 1.000-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, 1.230 ტყვიამფრქვევი, 850 ავტომანქანა.

არასრული ცნობებით, ცენტრალურ ფრონტზე ბრძოლების განმავლობაში გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 75.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

## მოსკოვი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. ამხანაგ სტალინს

პენზის ოლქის კოლმეურნე კაცებმა და ქალებმა, აღფრთოვანებულებმა თქვენი მოწოდებით, ამხანაგო სტალინ, რომ ყოველნაირი დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას და მის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, 14 მილიონი მანეთი შეაგროვეს სტალინგრადის დამცველთა საჩუქრად საბრძოლო თვითმფრინავების მშენებლობისათვის. შეგროვებული სახსრებით აგებულია 8 ავიაესკადრილია, რომლებსაც კოლმეურნეთა სურვილის თანახმად მიეკუთვნათ ყოველი საბჭოთა ადამიანის გულისათვის ძვირფასი სახელები—„ვლადიმერ ლენინი“, „იოსებ სტალინი“, „ვიაჩესლავ მოლოტოვი“, „მიხეილ კალინინი“, „ანდრია ანდრეევი“, „ალექსანდრე სუვოროვი“, „მიხეილ კუტუზოვი“, „ალექსანდრე ნეველი“. ოქტომბრის XXV წლისთავისათვის კოლმეურნე კაცთა და ქალთა დელეგაციამ თვითმფრინავები გადასცა სტალინგრადის ფრონტს და ამჟამად მონაწილეობენ ბრძოლებში. საბრძოლო თვითმფრინავებისათვის სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

არტელ „ვოსხოდის“ კოლმეურნეთა ინიციატივით ოლქში გაჩაღდა მოძრაობა წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად ფრონტის საჩუქრად კოლმეურნეთა სახსრებით 30 საბრძოლო ესკადრილიის აგებისათვის. ეს მოძრაობა მიმდინარეობს ფრონტისადმი საუკეთესო დახმარებისათვის მძლავრი პატრიოტული შეჯიბრების ნიშნით და წარმოადგენს წითელი არმიისადმი კოლმეურნე გლეხობის უსაზღვრო სიყვარულისა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციას.

საკ. კ. პ. (ბ) პენზის ოლქკომის მდივანი კ. მორუზჩინინი

## სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს—ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ფაშისტური სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების ერთიანი მისწრაფებით მოცულნი და თქვენი ხელმძღვანელობით მებრძოლი წითელი არმიის უმაგალითო მამაცობითა და გმირობით აღფრთოვანებულნი, რუსეთის სფს რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის სისტემის მუშაკები დიდი აღტაცებით ატარებენ სახსრების შეგროვებას „რსფს რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის“ სატანკო კოლონის მშენებლობისათვის.

შეგროვებულია და სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში მიმდინარე ანგარიშზე შეტანილია 24 მილიონი მანეთი.

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს უფროსი **კრავჩუკი**

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი **მარატი**

## ამხანაგ სტალინს

აკმოლინსკელ თავდაცვა-ავიაქიმელთა ინიციატივით წარმატებით შეგროვებულია 1.100.000 მანეთი „აკმოლინსკელი თავდაცვა-ავიაქიმელის“ სატანკო კოლონისათვის.

ფული სახელმწიფო ბანკშია.

წითელი არმიისათვის რეზერვის მომზადების გეგმა ხარისხობრივად გადაჭარბებით არის შესრულებული.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, რომ კიდევ უფრო მეტად დავეხმარებით ფრონტს კადრებითა და მატერიალურად.

თავდაცვა-ავიაქიმის აკმოლინსკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ხლებნიკოვი**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 12 დეკემბრის დილის ცნობა

11 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

ქალაქ სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში ქვეგანაყოფებმა ამხ. გოროხოვის მეთაურობით გერმანელები განდევნეს მთელი რიგი გამაგრებული პოზიციებიდან. საქარხნო რაიონში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის შვიდი ბლინდაჟი და გასწყვიტეს ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს, ხოლო ცალკეულ უბნებზე შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა გადალახეს დანაღმული მინდვრები და მავთულხლართიანი დაბრკოლებანი, მტრის თავდაცვის გამაგრებულ კვანძში შეიჭრნენ და 300-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს. წამოღებულია მტრის 8 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 11 ნაღმსატყორცნი, 10 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 37 ავტომატი, რადიოსადგური, საომარ მასალათა საწყობი და სხვა დავლა. სხვა უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონმა ტანკების დახმარებით კონტრიერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტერი ახლო მანძილზე მოუშვეს, შემდეგ კი გერმანელებს რამდენიმე ზალპი დაახალეს. მტერმა დაჰკარგა 200-ზე მეტი კაცი მოკლულთა სახით და 3 ტანკი და უკან დაიხია. ბრძოლის ველზე აკრეფილია გერმანიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრი პირადი იარაღი.

• • •

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს მტრის 1 ესკადრონი კავალერია. სხვა უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონმა და 13 ტანკმა იერიში მოიტანა ჩვენს დასაყრდენ პუნქტზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში. ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაზიანებულია მტრის 3 ტანკი.

• • •

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ დაკავებულ ზღუდეებს და ცალკეულ უბნებზე შეტევას განაგრძობდნენ. რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში 6 შენაერთის მებრძოლებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის საფარქვეშ გადალახეს წყლის ზღუდე და სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მტრის სანგრების პირველი ხაზი. მოსპობილია გერმანელთა 15 ბლინდაჟი და 18 ძელმიწური საცეცხლე წერტო. მტერმა მოკლულთა სახით 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ველიკიე ლუკის რაიონში ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს და ეწეოდნენ ბრძოლებს გერმანელთა ბლოკირებული გარნიზონების მოსასპობად.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 7 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე მტერი ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. საბჭოთა მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს მტერი და 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

• • •

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მოაწყო მტრის ხუთი სარკინიგზო ეშელონის მარცხი. დამტვრეულია 5 ორთქლმავალი და 97 ვაგონი და პლატფორმა ცოცხალ ძალიანად, ტანკებიანად და ქვემეხებიანად. მარტო ერთი ეშელონის მარცხის დროს დაიღუპა 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

17 ნოემბერს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დანიშნულების ბატალიონის მე-4 ასეულის ტყვედწამოყვანილი ობერ-შტურმფიურერის ნორმან ფერსტერის განცხადება. ამ დოკუმენტში უდავოდ იყო დამტკიცებული, რომ „საყოველთაო ძარცვა სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებში ხდება გერმანიის მთავრობის პირდაპირი ბრძანებით და ამ ძარცვას ორგანიზებული სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს“. ფერსტერის განცხადება გამოქვეყნებულია არა მარტო საბჭოთა პრესაში, არამედ ა. შ. შტატების, ინგლისისა და ნეიტრალური ქვეყნების ბევრ გაზეთშიც. დანაშაულზე წასწრებულმა და ფაქტებით ჩიხში მომწყვდეულმა ჰიტლერელებმა პირში წყალი დაიგუბეს და მდუმარედ აუარეს გვერდი მათს მამხილებელ დოკუმენტს. მხოლოდ ახლა, ფერსტერის განცხადების გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, ისინი ცდილობენ თავი დაიძვრინონ და კვალი წაშალონ. გერმანიის საინფორმაციო ბიურო 8 დეკემბერს ცდილობდა უარეყო მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კულტურულ ღირებულებათა ძარცვას ორგანიზებული სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს. მეკლაბნელები ბერლინელ ავაზაკთა ბუნაგიდან, რომელიც მოთავსებულია იმ საწყობთა გვერდით, სადაც დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში ნაძარცვი განძეულობა ინახება, ჩიფჩიფებენ: „უაღრესად დამარწმუნებელ უარყოფად შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ როზენბერგის შტაბმა დაღუპვას გადაარჩინა სხვადასხვა ბიბლიები, სხვადასხვა ხელნაწერები და წიგნები ნოვგოროდის ახლო-მახლო ეკლესიებისა“.

ეს „უარყოფა“ იმით არის საგულისხმო, რომ იგი ზოგ აღიარებაზე უფრო ძვირფასია. ჰიტლერელებმა თავისდაუნებურად წამოაყრანტალეს. იმ სიცრუეთა მორევს, რასაც ისინი ყოველდღე ანთხევენ, სიმართლის რამდენიმე სიტყვაც შეერთო. გერმანიის საინფორმაციო ბიურო ერთგვარი დაგვიანებით ადასტურებს ფერსტერის განცხადებას იმის შესახებ, რომ როზენბერგის შტაბი იტაცებს სხვადასხვაგვარ ძვირფას ხელნაწერებს და სიძველეთა ძეგლებს. მართალია, ძამრბეველი ლაპარაკობენ, „ღირებულებები გადავარჩინეთო“, მაგრამ თუ ამგვარ ქურდულ მოქმედებას „ღირებულებათა გადარჩენა“ ეწოდება, მაშინ ძარცვას რაღა დავარქვათ?

ფაშისტი მძარცველნი საბოლოოდ დაიბნენ. ახლა ცხადია ერთი რამ. ფერსტერის განცხადებამ გერმანიის მთავრობასთან არსებული სპეციალური რაზმების ყაჩაღური, ქურდული საქმიანობის შესახებ ოფიციალური დადასტურება ჰპოვა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობაში.

## 12 დეკემბრის საღამოს ცნობა

12 დეკემბრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

11 დეკემბრის განმავლობაში მოსპობილია მტრის 88 თვითმფრინავი, მათს რიცხვში სტალინგრადის რაიონში მოსპობილია 38 სატრანსპორტო თვითმფრინავი.

• • •

11 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 20 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 80 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშობილია 10 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, აფეთქებულია საომარი მასალის 3 საწყობი, გაფანტულია და ნაწილობრივ გაწყვეტილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

საქარხნო რაიონში ქალაქ სტალინგრადის სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ გარეუბნებში ჩვენმა ნაწილებმა მცირე მოიერიშე ჯგუფებით იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე და ჰიტლერელებს სერიოზული ზარალი მიაყენეს. მარტო ერთმა 6 ნაწილმა გასწყვიტა 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო საარტილერიო ბატარია, 7 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი და 6 ავტომანქანა საომარ მასალიანად.

• • •

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ დაკავებულ ზღუდეებს და დაზვერვას ეწეოდნენ. ცალკეულ უბნებზე მოგერიებულია მტრის რამდენიმე კონტრიერიში. 6 ნაწილმა იერიში მიიტანა გერმანელებზე და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოზიციები. სხვა უბანზე მტერმა რამდენჯერმე სცადა დაებრუნებინა ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებული დასაყრდენი პუნქტი. დღის განმავლობაში გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, რომელსაც დიდძალი ტანკი ეხმარებოდა, ექვსჯერ მოიტანა კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელების ყველა კონტრიერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 23 ტანკი, 8 ქვემეხი და 70 ავტომანქანა. მტერმა მოკლულთა სახით 700-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. 6 ნაწილის მებრძოლებმა ქვეითი ჯარის იარაღით გერმანელთა 6 მოპიკირე ბომბდამშენი ჩამოაგდეს.

• • •

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, რომლებიც ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს. სხვა უბანზე გერმანელებმა ორ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალით და 80 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები, რომლებშიც ჩვენი მებრძოლები მტერს მძიმე ზარალს აყენებენ.

• • •

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები იგერიებდნენ კონტრიერიშებს და ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის ქვეითს ჯარსა და ტანკებთან. ველიკიე ლუკის რაიონში გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. ბრძოლის ველზე დათვლილია 1.200 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

• • •

რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის თავდაცვითი ზოლის სიღრმეში.

• • •

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილების სნაიპერების მიერ ორი დღის განმავლობაში გაწყვეტილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ასეული ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. ჰიტლერელებს თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაახვედრეს, მათ უწესრიგოდ დაიხიეს და ბრძოლის ველზე ათობით გვამი დასტოვეს.

• • •

მინსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ათი დღის განმავლობაში მტრის 5 სარკინიგზო ეშელონის მარცხი მოაწყო. დამტვრეულია და დამწვარია 47 პლატფორმა ავტომანქანებიანად და 29 ვაგონი სხვადასხვა საომარი ქონება. მოკლულია 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაზმის პარტიზანებმა საფრიდან გასწყვიტეს 126 ჰიტლერელი.

• • •

მიღებულია ცნობა გერმანელ ფაშისტ არამზადათა ახალი მხეცობის შესახებ ხარკოვში. ოქტომბერში, გერმანელებმა ქალაქის 2.000-ზე მეტი მცხოვრები გარეკეს სიმაგრეთა მშენებლობაზე. ერთი თვის განმავლობაში საბჭოთა მოქალაქეები, რომელთა შორისაც ბევრი ქალი და მოზარდი იყო, დღე-ღამეში 16–18 საათს მუშაობდნენ. მათ მთელი დღის განმავლობაში თითო კარდალა სალაფავს აძლევდნენ, რომელიც მომზადებული იყო დამპალი ფქვილისაგან. ნახევრად შიშველი ხალხი ღამეს ცისქვეშ ათევდა მავთულხლართით გარშემოვლებული. რამდენიმე ასეულმა კაცმა საკატორღო რეჟიმს ვერ გაუძლო და შიმშილით, აუტანელი შრომითა და ცემით გარდაიცვალა. როცა მშენებლობა დამთავრდა, „სს“-ელთა რაზმმა დაპატიმრებულნი დანგრეული აგურის ქარხნის ტერიტორიაზე მიიყვანა და ყველანი დახვრიტა. შემთხვევით გადარჩა მარტო ორი დაჭრილი ქალი, რომლებმაც გვიამბეს ჰიტლერელი ბანდიტების ამ დანაშაულის შესახებ.

• • •

იუგოსლაველი პარტიზანები მძიმე ზარალს აყენებენ იტალიელ-გერმანელ ოკუპანტებს. უკანასკნელ ბრძოლებში პატრიოტებმა გასწყვიტეს 4.000-მდე ჰიტლერელი. მარტო რამდენიმე დღის განმავლობაში იაიცე-ტრავნიკის რაიონში მოკლულია გერმანელთა 718-ე დივიზიის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. გრაჩაც-სტიკადის ხაზზე პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს ორი მატარებელი. მოსპობილია ორი ორთქლმავალი, 17 საკლასო და 2 ჯავშნიანი ვაგონი.

## გერმანელთა სატანკო იერიშები მოგერიებულია

**ცენტრალური ფრონტი**, 12 დეკემბერი (ჩაქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ველიკიე ლუკის აღმოსავლეთით გერმანელებს, შემტევი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ განუწყვეტლივ გამოჰყავთ კონტრიერიშებზე თავიანთი ნაწილები. ჰიტლერელთა ქვეითს ჯარს, როგორც წესი, თან სდევენ ტანკები. ასე, ერთი იმ დასაყრდენი პუნქტთაგანის წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს, გერმანელებმა რამდენჯერმე გამოიყვანეს ბატალიონი ქვეითი ჯარი ტანკების დიდი ჯგუფის დახმარებით. მაგრამ მოწინააღმდეგემ ოთხი ტანკი და დიდძალი ქვეითი ჯარი დაჰკარგა და იძულებული გახდა შორს უკუქცეულიყო.

გაჩაღებულ ბრძოლებში საუცხოოდ იჩენენ თავს ჩვენი ჯავშანსატეხელები. ისინი მარჯვე სროლით დიდ ზიანს აყენებენ გერმანელებს.

ჯავშანსატეხელ ფედულოვის საფარზე ფაშისტთა 18 ტანკი მოდიოდა. ფედულოვმა თოფის ლულა მიმართა მეწინავე ტანკისაკენ, დაუმიზნა, დაელოდა, სანამ მანქანა მოახლოვდებოდა და ჩახმახს დააცემინა. მტრის ტანკი სქელ კვამლში გაეხვია და გაჩერდა. ცეცხლმოდებულ მანქანას დაეჯახა სხვა ტანკი, რომელიც პირველს მოჰყვებოდა. მას დაარტყეს ჩვენმა არტილერისტებმა, და იგი უძრავად გარინდდა. დანარჩენები გატრიალდნენ და სწრაფად გაქანდნენ უკან.

ე. კორიავიჩევი

## ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის სესია

გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის სესია.

სესია გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ტ. დ. ლისენკომ.

მოხსენებით „სოფლის მეურნეობის ამოცანები ომის პირობებში“ გამოვიდა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ი. ა. ბენედიქტოვი.

მოხსენება სამამულო ომის პერიოდში ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის მუშაობის შესახებ გააკეთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვ. პ. მოსოლოვმა.

სესია დღეს განაგრძობს თავის მუშაობას. (საკდესი).

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

დაენიშნოს საბრძოლო პოსტზე დაღუპულ გენერალ-მაიორ ამხ. ბ. თ. გალსტიანის ოჯახს პერსონალური პენსია:

ცოლს ანაგეტ მელიქის-ასულ მოვსესიანს—500 მანეთი თვეში;

შვილებს ონიკ ბენიამინეს-ძე და იური ბენიამინეს-ძე გალსტიანებს—300 მანეთი თითოეულს სრულწლოვანობამდე.

ქალიშვილს ეთერ ბენიამინეს-ასულ გალსტიანს—300 მანეთი თვეში სრულწლოვანობამდე.

# ბრალდების ჩაფუშვა პაპენზე „თავდასხმის“ პროცესზე

**ანკარა,** 9 დეკემბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). სასამართლოს იმავე სხდომაზე, რომელზეც ბრალდებულმა სულეიმანმა გააკეთა თავისი განცხადება, რომ იგი უარჰყოფს იძულებით ცრუ ჩვენებას კორნილოვისა და პავლოვის წინააღმდეგ, სულეიმანმა კიდევ რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს დაჟინებითი თხოვნით მიეცა მისთვის, როგორც თურქული ენის სუსტად მცოდნისათვის, თარჯიმანი, რომლის საშუალებითაც შესძლებდა „გამოეაშკარავებინა ამ საქმის მთელი საიდუმლოება და ფარული მხარეები და დაემტკიცებინა, თუ ვინ და რისთვის მოაწყო იგი“. მიმართა რა სასამართლოს ამ თხოვნით, სულეიმანმა განაცხადა: „ყველა ჩემი ჩვენება აბდურაჰმანის მიერ არის მოგონილი. ყველაფერი, რაც მე წინათ ვილაპარაკე, სიცრუეა, რომელიც აბდურაჰმანმა მასწავლა. ჩემი სინიდისი მოითხოვს, რათა სიმართლე ვთქვა. გთხოვთ ჩამომრეცხოთ ამ სიცრუის ლაქა და შესაძლებლობა მომცეთ ყველაფერი ვთქვა“. თავმჯდომარის უარის მიუხედავად, სულეიმანმა ისევ დაჟინებით ითხოვა თარჯიმანი და კატეგორიულად განაცხადა: არც კორნილოვსა და არც პავლოვს არასოდეს არ ვიცნობდი და მათ არ შევხვედრივარ. ხოლო ამის საწინააღმდეგო მოჭორილი ჩემი ჩვენება მივეცი მუქარის, ექვსი დღის განმავლობაში ძილისა და საჭმლის წართმევისა და აბდურაჰმანის შეგონების ზეგავლენით, რომელიც მარწმუნებდა „მეხსნა თავი“ კორნილოვისა და პავლოვისათვის ხელის დადების გზით.

თუმცა სასამართლომ სულეიმანს შესაძლებლობა არ მისცა ბოლომდე ეთქვა სიმართლე „თავდასხმის“ მთელი ინსცენირების ნამდვილი სარჩულისა და გამოძიების მეთოდების შესახებ, მაინც იმან, რის თქმაც სულეიმანმა მოასწრო, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინც კი პროცესს თვალყურს ადევნებდა. როგორც ცნობილია, წინასწარი გამოძიების სულეიმანის მიერ მიცემულ წერილობით ჩვენებაზე იყო ფაქტიურად აგებული მთელი ბრალდება ორივე საბჭოთა მოქალაქის წინააღმდეგ, რომლებთანაც, პროკურორის მიერ მიღებული ვერსიის მიხედვით, კავშირი ვითომ სწორედ სულეიმანმა დაამყარა. სულეიმანმა ასევე კატეგორიულად უარჰყო, როგორც ყალბი, თავისი წინანდელი იძულებითი ჩვენება იმის შესახებ, ვითომც ის როდისმე შესულიყოს საბჭოთა საელჩოში.

პროკურორის მოადგილის ქემალ ბორახის და აბდურაჰმანის უკვე ცნობილ განცხადებათა შემდეგ, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ რამენაირად მიეჩქმალათ სულეიმანის მხილებით გამოწვეული შთაბეჭდილება, სასამართლოს თავმჯდომარემ დახურა სასამართლოს დილის სხდომა.

დღის სხდომაზე სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ სულეიმანს საბოლოოდ ეთქვა უარი მისთვის თარჯიმანის დანიშვნის თხოვნაზე, და სიტყვა მისცა გენერალურ პროკურორს ჯემილ აქტაის, რომელმაც, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გასაოცრად, განაცხადა, რომ საქმის განხილვა დამთავრებულად მიაჩნია, ბრალდებულთა დანაშაული დადგენილად, საკასაციო სასამართლოს მოთხოვნები საქმისწარმოების წინათ დაშვებულ „ფორმალურ დარღვევათა“ გასწორების შესახებ შესრულებულად. პროკურორმა განაცხადა აგრეთვე: ვეთანხმები საკასაციო სასამართლოს აზრს, რომ პავლოვი და კორნილოვი იყვნენ ომერის „არა წამქეზებლები, არამედ მხოლოდ ხელშემწყობნი“, და ამიტომ მოსამართლეებმა უნდა გადასწყვიტონ პავლოვისა და კორნილოვისათვის სასჯელის შემცირების საკითხი.

სასამართლომ ბრალდებულთ ორი კვირა მისცა თავდასაცავი სიტყვების მოსამზადებლად და შემდეგი სხდომა დანიშნა 23 დეკემბრისათვის. ამრიგად, სასამართლომ ამჯერადაც არ განიხილა სულეიმანის მხილებანი, რომლებიც, როგორც ეტყობა, ნათელს მოჰფენდნენ პაპენზე „თავდასხმის“ ინსცენირების მთელი პროვოკაციის ავტორებს. მაგრამ ობიექტური მეთვალყურენი, რომლებიც თვალს ადევნებდნენ პროცესს, დღეს ერთსულოვნად გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ ბრალდება საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ანკარის პროცესზე ჩაფუშულად უნდა ჩაითვალოს.

## საომარი მოქმედება ტუნისში

**ლონდონი,** 12 დეკემბერი (საკდესი). როგორც მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების სარდლობა იუწყება, 10 დეკემბერს, ნაშუადღევს, მოწინააღმდეგის ორმა კოლონამ ქვეითი ჯარის დახმარებით იერიში მიიტანა მეჯეზ-ელ-ბაბას მიმართულებით. ორივე კოლონაზე დაუყოვნებლივ მიიტანეს კონტრიერიში მოკავშირეთა ჯარებმა. მოკავშირეებმა რამდენიმე ტანკი დაჰკარგეს, მაგრამ მოწინააღმდეგის ზარალი გაცილებით მეტი იყო.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, უკანასკნელ დღეებში გერმანელები საჰაერო გზით ჩადიან ტუნისში. ფიქრობენ, რომ ღერძის სახელმწიფოთა ჯარების რიცხვი ტუნისში დაახლოებით 28.000 კაცს აღწევს. გერმანელთა სარდლობას ტუნისში რეზერვები არ მოეპოვება თავის განკარგულებაში.

## საომარი მოქმედება ლიბიაში

**ლონდონი,** 12 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისელთა მზვერავი რაზმები მრავალი დღის განმავლობაში სინჯავენ ღერძის სახელმწიფოთა ჯარების თავდაცვით პოზიციებს ელ-აგეილის რაიონში, ამასთან იყენებენ ტანკებს, ჯავშნიან მანქანებს, ქვეით ჯარს და სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ მოწინააღმდეგის მეწინავე საგუშაგოებს.

## გერმანელები „სს“ ჯარებს ჰგზავნიან კუნძულ სიცილიაზე აჯანყების ჩასახშობად

**ლონდონი,** 12 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მაროკოდან მიღებული ცნობების თანახმად, კუნძულ სიცილიაზე აჯანყებამ იფეთქა. იმის გამო, რომ იტალიელთა ჯარები, რომლებიც აჯანყების ჩასახშობად იქნენ გაგზავნილნი, აჯანყებულებს შეუერთდნენ, გერმანელები სიცილიაში სასწრაფო წესით ჰგზავნიან „სს“ დივიზიას.

## რუზველტის პასუხი ამერიკის ებრაელთა ორგანიზაციების მიმართვაზე

**ვაშინგტონი,** 10 დეკემბერი (საკდესი). „ამერიკის ებრაელთა კონგრესის“, „ებრაელ მუშათა კომიტეტის“ და ებრაელთა სხვა დიდი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაციამ რუზველტს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აწერილია გერმანელი ფაშისტების ანტისემიტიზმი და ბარბაროსობა. მემორანდუმი მოუწოდებს რუზველტს დაუყოვნებლივ შექმნას ამერიკის შეერთებულ შტატებში კომისია „სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ნაცისტთა ბარბაროსობის ყველა მასალის შესაგროვებლად და შესასწავლად“.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ჰიტლერმა გასცა ბრძანება ოკუპირებულ რაიონებში ყველა ებრაელის მოსპობის შესახებ. უკვე მოკლულია 2 მილიონი ებრაელი მამაკაცი, ქალი და ბავშვი.

„ამერიკელი ხალხი,—აცხადებს თავის პასუხში რუზველტი,—არამარტო თანაუგრძნობს ნაცისტების ბოროტმოქმედებათა მსხვერპლთ, არამედ სასტიკ პასუხისგებაშიც მისცემს დამნაშავეებს სამაგიეროს მიზღვის დღეს, რომელიც უნდა დადგეს“. რუზველტი შემდეგ აცხადებს, რომ დელეგაციის წინადადება კომისიის შექმნის შესახებ განხილული იქნება, და დასძენს, რომ უეჭველია, სხვა გაერთიანებული ქვეყნები, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, მზად არიან მიიღონ ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა ბოლო მოუღონ ჰიტლერის ბოროტმოქმედებებს ებრაელთა და სხვა ცივილიზებულ ხალხთა წინააღმდეგ ოკუპირებულ ქვეყნებში. „ჩვენ ყოველივე შესაძლებელს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ, თუ პირადად ვინ არის დამნაშავე ასეთ ბოროტმოქმედებებში“,—დასძინა რუზველტმა.

## უკრაინის მოსახლეობის ტანჯვა გერმანელ ოკუპანტთა უღელქვეშ

**სტოკჰოლმი,** 10 დეკემბერი (საკდესი). ჰიტლერულ გაზეთებში გამოქვეყნებულია სტატიები სპეციალური კორესპონდენტებისა, რომლებიც გერმანელთა მიერ ოკუპირებულ უკრაინაში არიან გაგზავნილნი. ეს სტატიები შეიცავენ იმის აშკარა აღიარებას, რომ უკრაინის მოსახლეობა უმაგალითო ტანჯვას განიცდის. ჰიტლერულ გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგის“ კორესპონდენტი სწერს: „ჩვენი ავტობუსი უკრაინის ტერიტორიით მიდის. ეს ჭეშმარიტად მკვდარი მიწაა. ყველგან დაუმუშავებელი მინდვრებია“.

ასეთივე საშინელი გავერანება სუფევს საბჭოთა უკრაინის ქალაქებშიც, რომლებიც ოკუპანტებმა ხელთ ჩაიგდეს და გაძარცვეს. ჰიტლერელი მჯღაბნელი კიევს ჩავიდა. მას „თვალში ეცა წინათ ფართოდ მოსაზრებული უზარმაზარი ნაგებობანი“. მაგრამ ახლა,—აღიარებს კორესპონდენტი,—„მთავარი ქუჩა და მისი მომიჯნავე უბნები დანგრეულია, და კიევი დამჭკნარ სილამაზეს წარმოადგენს“.

„ბერლინერ ლოკალანცაიგერის“ კორესპონდენტი აცხადებს: დავრწმუნდი, რომ „უკრაინის სოფლის მოსახლეობას არა სურს გარდაიქმნას თავისი ახალი მდგომარეობის შესაბამისად“. „მოსავლის აღება,—ჩივის კორესპონდენტი,—ადვილი საქმე როდია“. გლეხებს არა სურთ ოკუპანტებს ჩააბარონ პური.

## რუმინული პრესის ისტერიული მოწოდება

**სტამბოლი,** 11 დეკემბერი (საკდესი). რუმინული პრესა კვლავ ისტერიულად მოუწოდებს მოსახლეობას მოთმინება იქონიოს და ნუ დაჰკარგავს სულიერ წონასწორობას. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას გაზეთი „კურენტული“ იჩენს.

„დღეები მიჰქრის, — სწერს გაზეთი, — გამარჯვება კი არა სჩანს და მოუთმენელნი შეშფოთებითა და უნდობლობით აქნევენ თავს. ამერიკელების მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში დესანტის გადასხმამ კიდევ უფრო შეარყია ხალხის ოპტიმიზმი“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუმინეთში „სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი იჩენს სიმპატიებს მოწინააღმდეგისადმი“. „კურენტული“ ასეთ ხალხს „მოწინააღმდეგის საიდუმლო ემისრებს“ უწოდებს და ისტერიულად გაიძახის: „ეს უჩინარი მტერი უბედურებას გვიქადის“.

„მასები ლამის პანიკამ შეიპყროს, რაც ხალხის სულიერი წონასწორობის დაკარგვის პირველი შედეგია. პანიკა, — სწერს გაზეთი, — პესიმიზმს ავრცელებს მშვიდობიან მოქალაქეებში, არყევს მათს გამარჯვების რწმენას. იგი დამარცხების მომხრეობის განწყობილებასა და მიმდინარეობას წარმოშობს ხალხში“.

## ამერიკის ახალი თვითმფრინავები

**ნიუ-იორკი,** 10 დეკემბერი (საკდესი). ამერიკელთა სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა მაკნეირმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკის ორმოტორიანმა ავიაგამანადგურებელმა პ-38, ეგრეთწოდებულმა „ლაიტნინგმა“ კარგი თვისებები გვიჩვენა ჩრდილოეთ აფრიკაში. 25 ნოემბერს ამ თვითმფრინავმა მოსპო ღერძის სახელმწიფოთა 14 თვითმფრინავი, თვითონ კი ზარალი არ მოსვლია. თვითმფრინავის სიჩქარე 640 კილომეტრზე მეტს შეადგენს საათში. იგი შეიარაღებულია ზარბაზნით და 50-ყალიბიანი ტყვიამფრქვევებით, რომლებიც 1,6 კილომეტრზე ისვრიან. „ლაიტნინგმა“ ალეუტის კუნძულებზე საუცხოო თვისებები გამოიჩინა. იგი დაფრინავს დიდი სისწრაფით ყოველ სიმაღლეზე, შეუძლია აფრინდეს და დაეშვას პატარა აეროდრომებზე, აქვს დიდი საბომბო დატვირთვა და შეუძლია თან ახლდეს ბომბდამშენს რამდენიმე ასეულ კილომეტრზე. ამ თვითმფრინავებს დიდი საცეცხლე სიმძლავრე აქვთ ცხვირის ნაწილში. დაზიანების დროს თვითმფრინავებს ადვილად შეუძლიათ ერთი მოტორით ბაზაში დაბრუნება.

## მასობრივი ჩხრეკა პლოვდივში

**ჟენევა,** 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუწყებიან, ბულგარეთის პოლიციამ პლოვდივში მასობრივი ჩხრეკა მოაწყო იმ მიზნით, რომ დაეპატიმრებინა და განეცალკევებინა „არაკეთილსაიმედო პირნი“, ესე იგი ანტიგერმანული ელემენტები. რამდენიმე დღით ადრე პოლიციამ უკვე მიმართა ასეთსავე ღონისძიებას.

## უცხოეთის ქრონიკა

5 დეკემბერს გაიხსნა ახალი რკინიგზა, რომელიც ერაყსა და ინდოეთს აერთებს.

* * *

ოქტომბრის დამლევისათვის კანადაში აგებული იყო 10 ახალი ქიმიური საწარმო. ყველა ეს საწარმო უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში ამუშავდება.

* * *

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ღერძის სახელმწიფოების წყალქვეშა ნავებმა ინდოეთის ოკეანეში ჩასძირეს გაერთიანებული ქვეყნების 3 გემი. ერთ-ერთ გემზე იყვნენ იტალიელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც დურბანში მიჰყავდათ.

* * *

შესდგა წყნარი ოკეანის სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზეც რუზველტმა დაწვრილებით განმარტა ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და მასთან დარლანის მდგომარეობის საკითხი. (საკდესი).

ომში საბჭოთა კავშირის დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა დარბაზობა გამართა „რუსეთის პატივსაცემად ხელოვნების კვირის“ მოწყობასთან დაკავშირებით. დარბაზობაში მონაწილეობა მიიღო 1.000 ცნობილმა მხატვარმა, მწერალმა, მსახიობმა, მუსიკოსმა, მოქანდაკემ და ხელოვნების სხვა მუშაკმა. დარბაზობის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს სსრ კავშირის ყველა შემოქმედებითს მუშაკს.

ამავე დროს კომიტეტმა დარბაზობა მოაწყო საბჭოთა ქალების პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრო 750 მწერალი ქალი, მსახიობი ქალი და ამერიკელ ქალთა სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები. ყველა გამოსულმა აღნიშნა საბჭოთა ქალების უდიდესი პატრიოტიზმი.

* * *

იაპონიაში გამოცხადებულია, რომ გაერთიანდა 35 სამრეწველო-სატრანსპორტო კომპანია.



ფაშისტი ბარბაროსები არტილერიის ცეცხლს უშენენ ლენინგრადს, ხოცავენ და ასახიჩრებენ მშვიდობიან მოსახლეობას—მოხუცებს, ქალებს და პატარა ბავშვებს. სურათზე: ლენინგრადის ქალაქის საბავშვო საავადმყოფოში. მარჯვნივ — ოთხი წლის გენია მიკულინასი. გერმანელთა ყუმბარის ნამსხვრევებით იგი დაჭრილია თავსა და მარცხენა ხელში.

ფოტო გ. კონოვალოვისა (საკდესის ფოტო ქრონიკა).

ტელეგრაფის ლენტიდან

# ჰიმლერი „ამშვიდებს" გერმანელებს

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან სხვადასხვა გზით, ჰიტლერული ცენზურის ყველა ბარიერის გვერდის ავლით, გერმანიაში აღწევს ცნობები გერმანელთა უდიდესი ზარალისა და საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევის შესახებ. ამავე დროს გერმანელთა სარდლობის ოფიციალური ცნობებისა და საგაზეთო ინფორმაციების კილო ისეთია, თითქოს ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარიყოს. გერმანელები ნერვიულობენ. სიცრუესა და მოტყუებაში საკმაოდ გამოცდილ ფაშისტურ პრესას ამ ჯერად არ ძალუძს პირდაპირ დუმილით აუაროს გვერდი ამ ფაქტებს. ჰიმლერის ორგანომ „დას შვარცე კორმა" იკისრა ამოცანა დაამშვიდოს თავისი მკითხველები და განმარტოს, თუ „რატომ სდუმს გერმანიის არმიის სარდლობა". მაგრამ, ცდილობს რა თავისი განერვიულებული მკითხველის ჭკუის დარიგებას, გაზეთი უნებლიეთ ამჟღავნებს თავის საკუთარ შეშფოთებას და ზოგიერთ საინტერესო რამეს აღიარებს.

„ინგლისელთა შემოტევა ჩრდილოეთ აფრიკაში, ამერიკელთა დესანტი ალჟირსა და მაროკოში, საბჭოთა ჯარების შემოტევა ორი მხრიდან გერმანელთა სოლის წინააღმდეგ სტალინგრადთან, აგრეთვე შემოტევა ცენტრალურ ფრონტზე—ეს ცოტა აპარებს ზომას" —გაჰყვირის „დას შვარცე კორი", რომელიც თავის მოწინავე სტატიაში განმეორებით აღიარებს, რომ „მტერი გვიტევს" და „გარღვევებს" აწყობსო. მაგრამ რუსებმა „უცებ" როგორ შესძლეს შეტევის ჩატარება? ამაზე გაზეთი უპასუხებს: „მტერი ზამთრისათვის მოემზადა". მაგრამ 1942 წლის გაზაფხულზე ჰიტლერი ხომ ეფიცებოდა გერმანელებს, რომ მეორე ზამთარი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ვერ მოუსწრებდა მათ მოუმზადებლებს, როგორც ეს 1941-42 წლის ზამთარში იყო. მაშასადამე, ჰიტლერული გაზეთი ადასტურებს, რომ ზამთრის პირველმა სიძნელეებმა უკვე ცხადჰყვეს ჰიტლერის დაპირებათა სიცრუე.

„დას შვარცე კორი" აქედანვე გრძნობს, რომ ახლო მომავალი კარგს არაფერს უქადის გერმანელებს, და წინასწარ ამზადებს მათ ცუდი ამბებისათვის. „სამშობლოში, რომ გაიგონ,—სწერს გაზეთი,—მტერი აქა და აქ დგასო, ფრონტის მთავარ ალმოსავლეთით მდებარე ხაზს დაკარგულად ჩასთვლიდნენ".

გაზეთი შიშობს, ამანის ზურგში არ „ჩასთვალონ კატასტროფად" ის, რაც ფრონტზე ხდება. აი რა არის წყარო გესტაპოს ორგანოს შეშფოთებისა, რომელმაც მოულოდნელად საჭიროდ ჩასთვალა „გულახდილად გამოლაპარაკებოდა" თავის მკითხველს. „დას შვარცე კორი" ცინიკურად აღიარებს, რომ საჭიროა სიმართლის დამალვა გერმანელი მკითხველისაგან, ვინაიდან სიმართლე, როგორც სწერს გაზეთი, „ხელსაყრელი იქნებოდა მტრისათვის". გერმანიის შიგნით ვითარება უფრო-და-უფრო დაძაბული ხდება, და ეს განსაკუთრებით აშინებს გაზეთს; იგი მოუწოდებს მკითხველებს „გამობრძმედონ თავიანთი ნერვები" და ამართლებს გერმანიის არმიის ხელმძღვანელობას, რომელიც იმიტომ არ ატყობინებს სიმართლეს, რომ არა სურს „ადამიანთა სული ზედმეტად დატვირთოსო". გესტაპოს ორგანოს აღიარება გვიჩვენებს, როგორ გაუძნელდათ ჰიმლერსა და მის ვაგკაცებს გავლენის მოხდენა გერმანელთა „სულებზე", რომლებიც აღსავსეა შიშთოთობით და შიშით.

„იზვესტია", 10/XII.

# საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. რაიკომების პლენუმები

**15 დეკემბერს, საღამოს 5 ს. 30 წ.**, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის IV პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. სამამულო ომის პირობებში რაიონში სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. პ. მჭედლიძე).
2. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში 1942 წლის 1 ივლისიდან 1 დეკემბრამდე პარტიაში მიღების შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ნ. ლორთქიფანიძე).

• • •

**15 დეკემბერს, საღამოს 5 ს. 30 წ.**, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის აგიტპუნქტის სხდომათა დარბაზში (პლეხანოვის პროსპ. № 83) მოწვეულია მოლოტოვის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. სამამულო ომის პირობებში რაიონში სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გონგაძე).
2. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში 1942 წლის 8 ივლისიდან 15 დეკემბრამდე პარტიაში მიღების შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ურუშაძე).

• • •

**15 დეკემბერს, საღამოს 5 ს. 30 წ.**, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში მოწვეულია კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონის საწარმოებში ახალ მუშათა პოლიტიკური აღზრდისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია).
2. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში 1942 წლის 1 ივლისიდან 10 დეკემბრამდე პარტიაში მიღების შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე კუნიცკაია).

• • •

**15 დეკემბერს, საღამოს 5 ს.**, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის აგიტპუნქტის შენობაში (25 თებერვლის ქ. № 2) მოწვეულია სტალინის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონის ძირითად საწარმოებში ახალ მუშათა პოლიტიკური აღზრდისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე).
2. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში 1942 წლის 9 ივლისიდან 15 დეკემბრამდე პარტიაში მიღების შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე გევორქიანი).

• • •

**15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე**, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის რაიკომის სხდომათა დარბაზში მოწვეულია რაიკომის მორიგი V პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონის საწარმოებში შრომითი და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის შესახებ (მომხს. რაიკომის მდივანი ამხ. გ. ოობაქიძე).
2. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში 1942 წლის 1 ივლისიდან 10 დეკემბრამდე პარტიაში მიღების შედეგების შესახებ (მომხს. რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ი. ჩოფიკაშვილი).

## ლექციები და მოხსენებები

**14 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე**, საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. № 5) საქართველოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი პოლიტგანათლების მუშაკთათვის და მკითხველთათვის ატარებს ამხ. ფრიშენბერგის ლექციას. თემა: „დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა".

შესვლა თავისუფალია.

## კინოებში

რუსთაველის სახ. — „ომის დღე", ოქტომბერი — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". დამკვრელი — „მშვენიერი ვასილისა". კომკავშირელი—„ტანკერი „დერბენტი". სპარტაკი — „სამი ამხანაგი". ლუქსემბურგის სახ. — „ჭაბუკი ტაიგიდან". კომინტერნი — „მეზღვაურები". 26 კომ. სახ. — „პეპო".

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომი წინადადებას აძლევს ანტონ ნიკოლოზის-ძე გოლაშვილს და გეორგინა ნიკოლოზის-ასულ გაბიანს ათი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომში.

## თეატრებში

**15 დეკემბერს:** სახოპერა — „ფაუსტი". მარჯანიშვილის სახელობის — „ხანუმა". სომხური თეატრი — „ეჭვით ავადმყოფი". ახუნდოვის სახელობის — „აშულ ყარიბი". მუსიკალური კომედიის — „ცისფერი კლდეები". სანკულტურის — „პირისპირ". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „ზღაპარი მშვენიერ ვასილისა და ივანეზე". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ძველ ინგლისში".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე


**თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ!**

ფარმაცევტული ინსტიტუტის 1942 წელში კურსდამთავრებული პროვიზორები ვალდებული არიან დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ საქ. ჯანსახკომის კადრების სამმართველოში და მიიღონ საგზურები დანიშნულ პუნქტში სამუშაოზე გასამგზავრებლად.

დირექცია

**დაკარგულია** ბორჯომის რაიონის ჰობისხევის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი. ნ. გ. 1613

საქ. სსრ განსახკომის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური სკოლის პირადი შემადგენლობა იუწყება

**ხარიტონ ანტონის-ძე ცინცაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII, სოფ. ზემო ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი). 1612

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტ დორუხან ცინცაძის მამის

**ხარიტონ ანტონის-ძე ცინცაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII, სოფ. ზემო ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი). 1616

საქ. სსრ ჯანსახკომის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან დონორთა განყოფილების გამგის ვუკოლ ჟორდანიას დედის

**ნინო ბახვას-ასულ ჟორდანიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 15/XII, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 29. 1615

საქ. სსრ ფინსახკომის მთავარი ბუხჰალტერიის თანამშრომლები იუწყებიან

**ნინო ბახვას-ასულ ჟორდანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 29. გამოსვენება 15/XII, 5 ს. 1611

ობსერვაციული პუნქტის თანამშრომლები იუწყებიან ლიუსია კუჩიკიანის მამის

**ბუკას კუჩიკიანის**

გარდაცვალებას. 1614


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7955